



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება 14

ქ. ახალციხე

20 მარტი 2015 წ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების: სატვირთო ა/მ ნაგავმზიდის (JAC4X2.8X1.5 ზედდგმული, სარეგისტრაციო ნომრით AX493XA, გამოშვების წელი 2015, ფერი თეთრი) და ექსკავატორი BELARUS IUMZ 6L(სარეგისტრაციო ნომრით MA-725, გამოშვების წელი 1986, ფერი ყვითელი 2/8) შპს „ვალის კომუნალური გაერთიანება“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის და შპს „ვალის კომუნალური გაერთიანების“ 2015 წლის 06 მარტის N-7 შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უსასყიდლო სარგებლობით - თხოვებით, მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცეს შპს „ვალის კომუნალური გაერთიანება“-ს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატვირთო ა/მ ნაგავმზიდის (JAC4X2.8X1.5 ზედდგმული, სარეგისტრაციო ნომრით AX493XA, გამოშვების წელი 2015, ფერი თეთრი)

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უსასყიდლო სარგებლობით - თხოვებით, მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცეს შპს „ვალის კომუნალური გაერთიანება“-ს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი BELARUS IUMZ 6L(სარეგისტრაციო ნომრით MA-725, გამოშვების წელი 1986, ფერი ყვითელი 2/8).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე